ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3412825

ნომერი: AR1519306

თარიღი : 01.07.2017

გაცემის თარიღი : 20.07.2017

გაცნობის თარიღი : 20.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N138 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო ესართია პ/ნ 19001025590
- ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე სარეკლამო აბრის და საკაადასტრო საზღვრებში სარეკლამო მანათობელი ყუთის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა #138, შ.პ.ს. "ბელო და კომპანია"-ს კსაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის და საკაადასტრო საზღვრებში სარეკლამო მანათობელი ყუთის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882017149948 01/03/2017წ. საკადასტრო კოდი N 01.13.01.004.147; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა #138, შ.პ.ს. "ბელო და კომპანია"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის და საკაადასტრო საზღვრებში სარეკლამო მანათობელი ყუთის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.